ნიკოლოზ სარაჯიშვილი
„უახლესი ისტორიის ცენტრის“ მკვლევარი
ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
nikasarajishvili99@gmail.com

ახალი მასალები 1920-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ[1]

საკვანძო სიტყვები: გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, საქართველოს ოკუპაცია, სოციალური მდგომარეობა სოფლებში, საბჭოთა სოფელი, საგადასახადო სისტემა, კულაკები

Keywords: Joint State Political Directorate, Occupation of Georgia, Social conditions in villages, Soviet village, Tax system, Kulaks

ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში – „ახალი მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ“ – ვწერდით: „ერთ-ერთ საიტზე სხვადასხვა ინფორმაციების ძიებისას ჩვენ გადავაწყდით ცნობებს, რომლებიც საქართველოში 1921-1924 წელს შექმნილ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე გვაწვდის ინფორმაციას. გადავწყვიტეთ, ეს წყაროები გვეთარგმნა, შესაბამისი მსვლელობა მიგვეცა და გამოგვექვეყნებინა“ (სარაჯიშვილი 2022: 81). იქვე განვმარტავდით, რომ პირველი ნომრის სტატიაში მხოლოდ აჯანყებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს შევეხებოდით. ამჯერად, ჟურნალის მესამე ნომერში უკვე იმ დოკუმენტებს განვიხილავთ, რომლებშიც ასახულია ის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში იყო საქართველოში. მოძიებული მასალის თემატურობიდან და სიუხვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ის სამი ძირითადი მიმართულებით დაგვეყო – 1) ზოგადი ფონი; 2) გადასახადების საკითხი; 3) ურთიერთობა *ტომებს* შორის.

ზოგადი ფონი

აქ ჩვენ მიერ თავმოყრილ და განხილულ დოკუმენტებში, უმეტესად გლეხთა მდგომარეობაა აღწერილი იმ სხვადასხვა სიახლის ფონზე, რომელიც საბჭოთა რუსეთის (1922 წლიდან სსრკ) მიერ ახლადდაპყრობილ ქვეყანაში ინერგებოდა.

[1] ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხულ იქნა საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 2023 წლის 21-23 სექტემბერს, ქ. თბილისში.

განსახილველი საკითხის შემთხვევაში, პირველი დოკუმენტი 1923 წლის 15 აპრილით თარიღდება. მასში ვკითხულობთ: „ადგილებში, სადაც წინა წლის მოსავლის მარაგები იწურება, გლეხთა განწყობა დამძიმებულია. ანტირელიგიური პროპაგანდა მთელ საქართველოში (გარდა სექტანტ-მოლოკნების სახლობის ადგილებისა) წარმატებით წარიმართა და შეხვდა გლეხთა თანამგრძნობი დამოკიდებულება. მიწის რეფორმას ღარიბი გლეხები თანაგრძნობით ეკიდებიან, საშუალონი – არაკეთილგანწყობილად. აჭარაში ჩამორთმეულია 830 დესეტინა სახნავი მიწა, 23 დეს. ბაღები, 3 ათასი დესეტინა ტყე, 2068 სახლი; სამხრეთ ოსეთში 675 დესეტინა მიწა, დუშეთის მაზრაში – დაახლოებით 3 ათასი დესეტინა, 25 წისქვილი, სიღნაღში – 2 ათას დესეტინაზე მეტი მიწა და 64 მამული (რუს. усадьбы), ბორჯომში 5 ათას დესეტინაზე მეტი“. მიუხედავად ამ მონაცემებისა, აჭარის შემთხვევაში, 27 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში გაუგებრობას ვხვდებით. დოკუმენტში ვკითხულობთ – „აჭარაში მიწის რეფორმა სუსტად მიმდინარეობს. არამხოლოდ ცენტრის, არამედ სამაზრო ორგანოებისთვისაც ჯერ კიდევ უცნობია თუ ზუსტად რა რაოდენობის მიწებია ჩამორთმეული და როგორ ნაწილდება ის ღარიბობაში“ (Советская деревня... 2000: 96-97).

გაურკვევლობა ჩანს ივნისის თვეშიც, როდესაც 15 ივნისით დათარიღებულ სახინფცნობაში საუბარია, რომ: „აჭარაში, უკანასკნელ მოვლენებთან და ჭორებთან დაკავშირებით, თითქოს შავ ზღვაში ინგლისური გემები შემოვიდნენ, კულაკებმა და მუსლიმურმა სამღვდელოებამ გააძლიერეს თავიანთი კონტრრევოლუციური საქმიანობა, ქმნიან რა საგანგაშო განწყობას გლეხებს შორის. ეს გარემოება უარყოფითად აისახა თესვაზე: გლეხები თესავენ იმდენს, რომ საკუთარი თავი უზრუნველყონ „პურის ნაჭრით“. ეს უმთავრესად შეინიშნება იმ გლეხებს შორის, რომლებიც იმ მიწებს ამუშავებენ, რომლებიც ჩამოერთვათ ბეგებსა და კულაკებს. მიწის რეფორმა აჭარაში სუსტად მიმდინარეობს. არა მხოლოდ ცენტრისთვის, არამედ სამაზრო ორგანოებისთვისაც კი ამ დრომდე უცნობია ჩამორთმეული მიწების ზუსტი რაოდენობა და ღარიბებს შორის მათი გადანაწილების წესი. მიმდინარე წელს აჭარაში სათესი ფართობი აღწევს ომამდელი ფართობის 50%-ს“ (Советская деревня... 2000: 114-115).

იმავე დოკუმენტში საუბარია ზუგდიდის მაზრაში შექმნილ მდგომარეობაზეც, სადაც გლეხები მხოლოდ იმდენს თესავენ, რომ თავად ეყოთ, რაც იმას განაპირობებს, რომ სათესი ფართობი არ იზრდება. „ამ მაზრაში კონფისკებულია 11 ათასი ნახევარდესეტინა მიწა. გადანაწილებულია 2,6 ათასი მეურნეობა. სენაკის მაზრაში ჩამორთმეულია დაახლოებით 14 ათასი ნახევარდესეტინა, რომელთაგან დაახლოებით 8 ათასი დაურიგდათ გლეხებს, დანარჩენი კი გადანაწილდა მიწის რეფორმის კულტურულ საჭიროებებზე“ (Советская деревня... 2000: 115) .

ვინაიდან თესვაზე დოკუმენტებში ხშირადაა აქცენტი გაკეთებული, მოვიტანთ 24 მაისის სახინფცნობა №12-ში არსებულ ცნობას, სადაც თესვის კამპანიაზე ნათქვამია, რომ ზოგიერთ რეგიონში პრობლემებია შექმნილი სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში გლეხები სწრაფად

გახარებად სიმინდს თესავენ, რასაც ეწინააღმდეგება Наркомзем (სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი), ვინაიდან ეს ჯიში მიწას ფიტავს. მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ ნათესი მიწების რაოდენობამ ომამდელ ზომებს მიაღწია. თუმცა ამავე დროს დასძენენ, რომ ეს მაქსიმუმი არაა და აგრარული რეფორმის გამოისობით, კიდევ გამოინახება სათესი მიწები. რაც შეეხება პრობლემებს, აღნიშნულია, რომ სენაკის მაზრაში გაჩნდნენ კალიები, რომლებთან ბრძოლაც, მოსკოვიდან წამლების მიღებამდე, შეუძლებელია. გორის მაზრაში კი 5 ათასი დესეტინა მიწა თაგვებისგან დაზარალდა (Советская деревня... 2000: 108).

1924 წლის დოკუმენტების მიხედვით სენაკის მაზრაში სათესი ტერიტორია წინა წელთან შედარებით 40%-ით შემცირდა უწყვეტი გვალვის გამო.

(სახინფცნობა № 18, 1 ივლისისთვის) – „ამ წლის სათესი ფართობი საქართველოს ზოგიერთ მაზრაში შემცირებულია წინა წელთან შედარებით. მაგალითად, რაჭის მაზრაში 15%-ით, გორის მაზრაში წინა წლის მხოლოდ 20%-ია დათესილი, ზუგდიდის მაზრაში, წინა წლის მხოლოდ 35%. ბევრ ადგილას აღინიშნება უწყვეტი გვალვა და მავნებელთა გავრცელება“ (Советская деревня... 2000: 242).

(სახინფცნობა № 17, 23 ივნისისთვის) – ქუთაისის მაზრაში დათესილია მხოლოდ 25% წინა წლის სათესი ფართობისა, რაც უწყვეტი გვალვით ინვენტარის ნაკლებობითა და სათესლე მასალის მოსახლეობისთვის არასრული გაცემით აიხსნება“ (Советская деревня... 2000: 242).

მიუხედავად იმისა, რომ როგორც წინა დოკუმენტებში დავინახეთ, დამაიმედებელი ნოტები საკმარისად იყო, სიტუაცია არ შეცვლილა ერთი წლის შემდეგაც. 1924 წლის აპრილის თვის სახინფცნობაში (№ 15, 5 აპრილი) საუბარია რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დოკუმენტის მიხედვით: „გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, იმის გამო, რომ თამბაქოსა და სიმინდის, რომლებიც აფხაზეთში სოფლის მეურნეობის ძირითად პროდუქტს წარმოადგენენ, გასაყიდად ბაზარი არ არსებობს. ადგილებში იგრძნობა სათესი მასალის უკმარისობა. სიღნაღის მაზრაში შეინიშნება მინდვრის თაგვების მომრავლება, რომელთა მიერ „დაავადებულია“ დაახლოებით 80 ათასი დესეტინა მიწა“ (Советская деревня... 2000: 190-191).

1924 წლის აგვისტოში მიმდინარე აჯანყების პარალელურად, არ წყდება ინფორმაციის მიწოდება სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. 1924 წლის ზაფხულის ცნობებიდან ვიგებთ: „დუშეთის მაზრის მუხრანის, საგურამოსა და ანანურის რაიონებში ნათესები იმდენად ცუდია, რომ მინდვრებში საქონელს უშვებენ. ზუგდიდის მაზრაში აღინიშნება გლეხთა მძიმე მდგომარეობა (გადაუდებელი საჭიროება მანუფაქტურაში, ფეხსაცმელი და არასრული მომარაგება საკვებით). თივა ჩაბარებულია წარმოების მომსახურების ბაზაში (база производственного обслуживания – БПО). თივა მოსალოდნელზე ნაკლებია.

იგივეა გარეკახეთში, სადაც მოსახლეობის 80% იკვებება ნაყიდი პურით, ამასთან, მარტყოფის რაიონში შიმშილია. ზოგიერთ ადგილზე საძოვრები გახმა. იმავე გარეკახეთის ნორიოს რაიონში გლეხები შიმშილის პირას არიან...

საქართველოს მრავალ მაზრაში გრძელდება ციმბირული წყლულის ეპიზოოტია[2], რომელთან ბრძოლაც არ ხელეწიფება ადგილობრივ ვეტერინარულ პერსონალს.

ზუგდიდის მაზრაში მშრომელთ (совслужащим) რამდენიმე თვეა არ აუღიათ ხელფასი, ზოგიერთ ადგილებში – უკმაყოფილებაა ძალიან დაბალი ჯამაგირით.

დუშეთის მაზრასა და ქალაქ დუშეთში პედაგოგთა 60%-ის პოლიტიკური შეხედულებებისთვის უცხოა საბჭოთა ხელისუფლებანი და ამიერკავკასიის ჩეკას ვარაუდით ეწევიან არალეგალურ საქმიანობას“ (Советская деревня... 2000: 240-241).

სახინფცნობა №20, 17 ივლისისთვის – „ახალქალაქის რაიონის ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის მდგომარეობა კრიტიკულია. მაგალითად, სოფელ გამურდაში (შესაძლოა, იგულისხმებოდეს სოფელი გულსუნდა დღევანდელ ასპინძის მუნიციპალიტეტში – ნ. ს.) სამუშაო საქონელი არ არსებობს, სასოფლო-სამეურნეო იარაღები არაა, მოსახლეობა ბალახით იკვებება, დიდი საჭიროებაა ტანსაცმლის, ბევრნი დადიან სრულიად ტიტვლები, სძინავთ მიწის იატაკზე და იფარებენ ძონძებს. ყველა მალარიისა და მუნისგან იტანჯება. სამაზრო აღმასკომი უსახსრობის გამო დახმარების აღმოჩენას ვერ ახერხებს.

რაჭის მაზრაში გლეხობა საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო იარაღს. მაზრაში ორგანიზებული გლეხკომები (გლეხთა კომიტეტები) არანაირ სარგებელს არ იძლევა, ვინაიდან არ აქვთ ფულადი სახსრები“.

სახინფცნობა №19 8 ივლისისთვის – „აფხაზეთის მაზრებიდან მოდის ცნობები დაუთესველობაზე, მაგალითად, გუდაუთის მაზრაში მინდვრების დაახლოებით 50% დაუთესავია სასოფლო-სამეურნეო იარაღის სიმცირისა და სამუშაო საქონლის უკმარისობის გამო. მოსალოდნელია მოსავლის ნაკლებობა, რაც გლეხობას აშფოთებს“ (Советская деревня... 2000: 242).

დოკუმენტებში აგრეთვე იმ პირობებზეცაა ნათქვამი, რომელშიც გლეხებს უწევდათ მუშაობა. 1924 წლის 8 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში (№ 16) ვკითხულობთ: „ყურადღებას იმსახურებს გლეხების შრომის არანორმალური პირობები, რომლებიც მუშაობენ ტერიპონის სარწყავი არხის გაყვანაზე, სადაც მონაწილეობას იღებს 500 ადამიანი ღატაკ-გლეხობიდან. მათი საცხოვრებელი პირობები უკიდურესად მძიმეა. საცხოვრებელი პირობები უკიდურესად ცუდია: თავსდებიან ქვის, ბნელ, ნესტიან, მიწის იატაკიან შენობებში, ადგილები არაა საკმარისი, უმეტესობას ძირს სძინავს და სიმინდის ფუჩეჩს იფენენ. „ბინები“ ნათდება ნავთის ჭრაქით, კარები და საკეტები არაა... სამედიცინო დახმარება არ არსებობს, არც აფთიაქია, არც გადასახვევი საშუალებები. იყო ტიფით დაავადების შემთხვევები და დაავადებულები, დიაგნოზის უდროო დადგენისა და დახმარების აღმოუჩენლობის გამო ქალაქის საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე კვდებოდნენ. უმრავლესობა მუშაობს გამომუშავებაზე, გამოიმუშავებს 80-90 კაპიკს დღეში, დღიურები (поденные) იღებენ 45 კაპიკს. სამუშაო დღეში 12-13 საათია. გადახდა ხდება არააკურატულად, ზოგჯერ მთელი თვის დაგვიანებით...

[2] გადამდები სენის ფართოდ გავრცელება ცხოველთა შორის.

ამა წლის 23 მაისს 150-მა მუშამ უარი თქვა მანუფაქტურის მიღებაზე, რაც განპირობებული იყო ძალიან მაღალი ფასით და არ გამოვიდნენ სამუშაოზე, ვიდრე ფასმა არ დაიწია 10%-ით. მუშების კვება ცუდია: ჭამენ ცარიელ პურს, იღებენ ყოველდღიურად 3-4 ფუნტს კრედიტით სამკომისგან და აყოლებენ მას წყალს, რის გამოც ხშირია დაავადებები. კულტურული მუშაობა არ არსებობს.

მაზრის მუსლიმ მოსახლეობას შორის შესამჩნევია უკმაყოფილება 1902 წელს დაბადებულთა გაწვევით, ვინაიდან ისინი აქამდე სამხედრო სამსახურს არ იხდიდნენ“ (Советская деревня... 2000: 242-243).

ის, რომ საქართველოში ოკუპაციის შემდეგ რთული მდგომარეობაა შექმნილი, აღნიშნულია პოლონეთის არქივში ახლახან მიკვლეულ დოკუმენტებშიც, რომელთა ნაწილიც ისტორიკოსმა მიხეილ ბახტაძემ მოიძია, თარგმნა და გამოაქვეყნა (ბახტაძე 2023: 128-139). დოკუმენტში, რომელიც 1921 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: „... კიდევ უფრო იზრდება უკმაყოფილება მოსალოდნელი შიმშილობის ფონზე. რეკვიზიციის საფრთხის გამო მოსახლეობა მოწეულ ხორბალს არ იღებს, ხოლო იქ, სადაც ბოლშევიკები ამას თავისით ცდილობენ – წვავს. წელს დათესილია 30%-ით ნაკლები, ვიდრე შარშან, სამომავლოდ კი არის შიმშილობის საფრთხე, რადგან არ იქნება დასათესი თესლიც კი“ (ბახტაძე 2023: 138-139).

გადასახადები. ცალკე გვინდა შევეხოთ იმას, თუ რა სახე ჰქონდა ახალდაწესებულ გადასახადებს და როგორი სიტუაცია დამყარდა გლეხობაში მისი შემოღებით. ბუნებრივია წყაროდ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს გამოვიყენებთ.

ზოგადად აღნიშნულია, რომ 1923 წლის ბოლოსთვის კულაკთა ანტისაბჭოთა და ანტისაგადასახადო აგიტაცია ძლიერია, ბელორუსიაში, საქართველოში, სომხეთში... (Советская деревня... 2000: 140), ამასთან მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით მწვავე უკმაყოფილება შეინიშნება გადასახადებზე (Советская деревня... 2000: 167).

1923 წლის 16 ოქტომბრის სახინფცნობა №38-ში ნათქვამია, რომ საქართველოში გლეხების უკმაყოფილება გამოწვეულია ერთიანი გადასახადის გატარებით. აღნიშნავენ, რომ საგადასახადო კამპანია ყველაზე წარმატებულად მიმდინარეობს სიღნაღის მაზრაში, ხოლო ყველაზე სუსტად ტიფლისის, განსაკუთრებით კი სართიჭალისა და ყარაიაზის (დღევანდელ გარდაბნის რაიონში – ნ. ს.) რაიონებში, რომლებიც ქართველებითა და გადმოსახლებულებითაა დასახლებული (Советская деревня... 2000: 149-140).

(სახინფცნობა №10 5 აპრილისთვის) – „ზემო სვანეთის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ გამომწვევად იქცევა. არანაირ ვალდებულებასა და გადასახადს არ ასრულებს. ბანდიტიზმი და ხელისუფლების წინააღმდეგი ქმედებანი გრძელდება. აღმასკომები უძლურნი არიან. დაკავების მცდელობის დროს პოლიციას განაიარაღებენ და სცემენ. არც ერთი სასამართლოში გამოძახებული მოქალაქე არ გამოცხადებულა. სვანები ძარცვავენ ყაბარდოელებსა და ყარაჩაელებს. НКВД-მ შეიტანა საქართველოს კპ ცკ-ში მოთხოვნა, რომლითაც დაჟინებით ითხოვენ მსხვილ საჯარისო ძალებს სერიოზული ოპე-

რაციისა და განიარაღების ჩასატარებლად. რამდენიმე დღის წინ მოტაცებულ იქნა დაუმორჩილებელი სვანების ბელადის ქალიშვილი, რამაც გარკვეული განხეთქილება შეიტანა მათ შორის“ (№ 9, 20 მარტი) (Советская деревня... 2000: 243-244).

საინტერესო დოკუმენტს შევხვდით, რომელიც 1924 წელზე მოდის (№ 136) და ეხება ვ. ლენინის გარდაცვალების ფაქტს. ცნობა აღებულია ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კონტრრევოლუციასთან და დანაშაულებთან ბრძოლის საინფორმაციო დეპარტამენტის უწყებიდან, რომელიც შეეხება იმას, თუ რა რეაქცია ჰქონდა ამიერკავკასიის მოსახლეობას ვ. ი. ლენინის გარდაცვალებაზე:

„საქართველოს ზოგიერთ რაიონში, მაგალითად ქუთაისის მაზრაში, ამხანაგ ლენინის გარდაცვალების ცნობამ რამდენადმე შეამცირა გადასახადების აკრეფა. ეს იმით აიხსნება, რომ რაიმე მსხვილი მოვლენების დროს გლეხები მუდამ ელოდებიან რაიმე შესუსტებას გადასახადებით დაბეგვრის მიმართულებით, სწორედ ამიტომ შეიკავეს მათ თავი გადასახადის დროულად შეტანაში. ვაჭარი ბურჟუაზიისა და ვაჭართა განწყობა ხასიათდება ნეპ-ის გაუქმების, სამხედრო კომუნიზმის შემოტანით და ნეპთან დაკავშირებული ყველანაირი პრივილეგიის გაუქმების შიშით... ქართული ინტელიგენციის შოვინისტურმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ლენინის სიკვდილით დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი გაიზარდა. ანტისაბჭოთა პარტიების გავლენა, როგორც ზემოთ იყო მითითებული, წარმატება არ ხვდა. ფედერალისტები გამოვიდნენ პროკლამაციით: „ლენინი მოკვდა, უშველე საქართველოს“. აქტიურ გამოსვლას ჰქონდა ადგილი ბორჯომში, სადაც უცნობთა მიერ რკინიგზის სადგურიდან ჩამოხსნილ იქნა სამგლოვიარო დროშები“ (Советская деревня... 2000: 188-189).

1925 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის ცნობით, მცხოვრებლებს გადასახადი დაეკისრათ გარშემო არსებული სარწყავი სისტემების შეკეთებისთვისაც. იმავე დოკუმენტში ისიცაა აღნიშნული, რომ სარწყავ არხ „ქსანის“ მცველები უკვე 7 თვეა ვერ იღებენ ხელფასს (Советская деревня... 2000: 356-357).

ურთიერთობა ტომებს შორის

რამდენიმე სიტყვით გვსურს ის საინტერესო ეპიზოდები მოვიტანოთ, რომელიც სხვადასხვა ხალხის (როგორც დოკუმენტებშია მითითებული – ტომების) ერთმანეთთან ურთიერთობებს ასახავს.

9 ოქტომბერი, 1923 წ. კავკასია... საქართველო. (სახინფცნობა № 38)

„საქართველოში გაიმართა მესაქონლეთა საზოგადოება „ბირლიკის“ ყრილობა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ბორჩალოს მაზრის მესაქონლეებს შორის. ყრილობას ხელმძღვანელობს რიგი კულაკებისა, რომლებიც არღვევენ კოოპერაციის პრინციპებს. კონკურენცია მესაქონლეთა მთელ ჯგუფებს შორის, მტრობა საძოვრების საზღვრების გამო – ჩვეულებრივი მოვლენაა დასახელებული საზოგადოების პრაქტიკაში. კულაკებმა, ჩაიგდეს რა ხელში მესაქონლეებზე გავლენა, თავიანთ საქმიანობას აწარმოებენ სახელმწიფო ორგანოების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მათ სუბსიდირებას ახდენდნენ“ (Советская деревня... 2000: 148-149).

1924 – (სახინფცნობა №10, 5 აპრილისთვის). „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორი გადანაწილების საფუძველზე ახალციხის მაზრაში შეინიშნება გლეხთა სერიოზული უკმაყოფილება. ამ უკმაყოფილებას აღრმავებს ადგილობრივი ხელისუფლების მთელი რიგი არასწორი მოქმედებებიც. ასე მაგალითად მარტში თემის აღმასკომის არჩევნებზე სამაზრო ცენტრის თავმჯდომარედ გაიყვანეს მისი პროტეჟე, რომელმაც ნაკლები ხმა მიიღო (Советская деревня... 2000: 243-244).

1924 (15 მაისი №13) – ტფილისის მაზრის სოფლების მანავის, გეორგის, მუინდას, საგარეჯოსა და სიღნაღის მაზრის სოფელ კაკაბეთში აპრილის ბოლოს მოხდა შეტაკება დაურეგულირებელი საზღვრებისა და უწყებათაშორისი კომისიის დადგენილების დაუკმაყოფილებლობით (Советская деревня... 2000: 243)..

1924 – (№19, 8 ივლისი) „ახალქალაქის მაზრაში შეინიშნება გლეხთა უკმაყოფილება მიწის ნაკვეთების არასწორი გადანაწილების გამო, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ დამოკიდებულებაზე ხელისუფლების მიმართ და მათ შორის არც თუ იშვიათად ქმნის სკანდალებს. მაგალითად, 29 მაისს სოფლების კოტელიასა და ტურუხის მცხოვრებლებს შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგადაც ერთ-ერთ მონაწილე ცემის დროს კინაღამ მოკვდა. ანალოგიური შემთხვევა იყო 21 მაისს სოფლების მერენიასა და გოხშენს შორის. გლეხების განერვიულებას იწვევს საძოვრების საკითხი მაზრაში მომთაბარე-მეცხვარეების მოსვლასთან დაკავშირებით. 20 მაისს სოფელ როდიონოვკაში მომთაბარეებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის შეტაკება მოხდა რასაც თან ახლდა სროლა (Советская деревня... 2000: 242).

საინტერესო დოკუმენტია აგრეთვე, რომელიც 1924 წლის შემოდგომას ეხება. მასში საუბარია ინგუშებისა და ხევსურების ურთიერთობაზე და მის გამომწვევ მიზეზებზე.

„29-30 სექტემბრის ღამეს ინგუშთა რაზმი 250-300 შეიარაღებული მხედრის ოდენობით, თავს დაესხა ხევსურეთის რამდენიმე დასახლებას. სოფელ აღნანში 4-საათიანი სროლების შემდეგ ინგუშებმა წაასხეს მთელი საქონელი და 22 ადამიანი ტყვედ. სოფელ ლხიელში სრულიად გაძარცვულია 23 სახლი და წაღებულია 1,5 ათასი თავი წვრილი, 1 ათასი მსხვილი საქონელი და 30-მდე ცხენი. ჩამორთმეულია 57 ვინტოვკა და 18 რევოლვერი. თავდამსხმელებს ჰქონდათ 3 პულიმიოტი. უკან დახევისას ინგუშებმა გაანადგურეს ყველაფერი, რაც ვერ შეძლეს რომ წაეღოთ, პურის ზვინებიც კი. დარბევით გამოწვეული ზარალი შეადგენს 1 მლნ მანეთამდე. ხევსურებმა გამოიყვანეს ყველა დასახლებიდან შეიარაღებული ძალები და განუცხადეს ქართულ ხელისუფლებას, რომ თუ მოპარული არ დაუბრუნდებათ, ისინი წამოიწყებენ ომს ინგუშების წინააღმდეგ (მოცემულ მომენტში საკითხი განიხილება ქართველი და ინგუში წარმომადგენლების კომისიის მიერ)“ (Советская деревня... 2000: 258). მსგავსი შემთხვევა გამონაკლისი არ იყო, იქვეა აღნიშნული, რომ ერთ-ერთ დაღესტნურ დასახლებას ჩეჩნებმა მოჰპარეს 80 თავი საქონელი, საპასუხოდ კი დაღესტნელებს მოუპარავთ 70, რის გამოც მათ შორის მოხდა დაპირისპირება სროლის თანხლებით (Советская деревня... 2000: 258).

საინტერესოა, რომ დოკუმენტის მიხედვით, შესაძლებელი იყო, რომ ინგუშების ხევსურებზე თავდასხმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ყოფილიყო ინგუშეთის რევკომის თავმჯდომარე (Советская деревня... 2000: 258).

დოკუმენტებში საუბარია აგრეთვე თავად საზოგადოების შიგნით არსებულ დაპირისპირებებზე, რაც უმთავრესად მიწის გადანაწილებების თანმხლები პრობლემებით იყო გამოწვეული. მაგალითად, 1926 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ამის გამო ტიფლისისა და დუშეთის მაზრებში მოხდა შეტაკება, რაც სროლით დასრულდა და დაჭრილია 12 ადამიანი. აფხაზეთში კი (გაგრის მაზრაში) აფხაზებსა და სომხებსა და სხვა უმცირესობებს შორის დაპირისპირებები შეინიშნება, რაც გამოწვეულია იმით, რომ აფხაზებმა, უმცირესობებთან შედარებით, კარგი მიწები თავისთვის გაინაწილეს (Советская деревня... 2000: 460-461).

მიწების გადანაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზებად დასახელებულია კონკრეტულ ინდივიდთა უპასუხისმგებლო ქმედებები (მაგალითად, ლოთობა), ხშირ შემთხვევაში კი კულაკთა თვითნებობა. როგორც აღნიშნულია, 1926 წელს კულაკების წინააღმდეგობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საქართველოში. „რიგ რაიონებში კულაკობა არ აძლევს საშუალებას ღარიბებს მათთვის ჩამორთმეული მიწის დამუშავების. შეინიშნებოდა შემთხვევები, როდესაც მცირემიწიანებმა ვერ შეძლეს იმ მიწების დამუშავება, რომელიც კულაკობას ჯერ კიდევ 1925 წლიდან ჩამოერთვა (ბორჩალოს მაზრა). კულაკების მხრიდან ადგილი ჰქონდა მიწის კომისიების დადგენილებებისადმი არ დამორჩილებას და ღარიბებში მოკვლის მუქარებს (ახალციხის მაზრა). მეტწილად კულაკობის ასეთი აქტიურობა აიხსნება ადგილობრივი ხელისუფლებების უსაქმურობით, ზოგჯერ კი მათი მხრიდან კულაკობის პირდაპირი მფარველობით (Советская деревня... 2000: 461).

მაგალითად, ბორჩალოს მაზრის სოფელ ერკოტაში კულაკ სიდორ ბერიძეს ჩამოართვეს მიწის ზედმეტი ნაწილი და გადასცეს მცირემიწიან ვანო წალკალმაძეს (Цалкалмадзе), რომელიც, თავის მხრივ ამ მიწით 1925 წლამდე სარგებლობდა. 1926 წელს კულაკმა, მიუხედავად თემის აღმასკომის თავმჯდომარის მოწოდებისა, ძალმომრეობით დაიბრუნა უკან მიწა (Советская деревня... 2000: 461).

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველოში (და არა მარტო) შექმნილი მდგომარეობა მეტად მძიმეა. მოსახლეობა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოკლებულია ნორმალური არსებობისთვის აუცილებელ რესურსებსა თუ პირობებს. ვფიქრობთ, ვინაიდან დოკუმენტები ოფიციალური ხასიათისაა, ის საკმაოდ რეალისტურ სურათს უნდა ასახავდეს. მასალები, რომელიც აქ გამოვაქვეყნეთ, აუცილებელი და საჭირო წყაროებია საბჭოთა ოკუპაციისა და საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების პერიოდზე მუშაობისთვის.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **ბახტაძე 2023:** ბახტაძე მიხეილ, ერთი დოკუმენტი პოლონეთის ახალი ისტორიის არქივიდან 1921 წელს საქართველოში არსებული ვითარების შესახებ, კრებულში: ოკუპაციიდან დამოუკიდებლობამდე, 1921-1991, საკონფერენციო მასალების კრებული, უახლესი ისტორიის ცენტრი, არტანუჯი, თბილისი, 2023, გვ. 128-139;
- **სარაჯიშვილი 2022:** სარაჯიშვილი ნიკოლოზ, ახალი მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ, ჟურნ. სტუდენტური საისტორიო ძიებანი, 2022, №1, გვ. 81-96;
- **Советская деревня 2000...:** Советская Деревня Глазами ОГПУ – Документы и материалы, 1923-1929, т. 2. ტომის შემდგ. Л. Борисова, В. Данилов, Н. Перемышленникова (პასუხისმგებლები), Т. Голышкина, С. Мякиньков, А. Николаев, Т. Сорокина, Москва, РОССПЭН, 2000.

Nikoloz Sarajishvili

Researcher at The Center For Contemporary History

MA Program in Modern and Contemporary History, TSU

NEW MATERIALS ON THE SOCIO-ECONOMIC SITUATION FORMED IN GEORGIA DURING THE FIRST HALF OF THE 1920S (SUMMARY)

This article builds upon our previous work published in the first issue of our Journal, “New Materials on the 1924 Anti-Soviet Uprising”. In this third issue, we examine documents that shed light on the economic and social situation resulting from the Soviet occupation of Georgia. Given the subject matter and the abundance of material, we found it appropriate to categorize the discussion into three main directions and address each accordingly. The documents reveal a dire situation in Georgia (and beyond), with the population, in some cases, lacking the resources or conditions necessary for a normal existence. We believe that the official nature of these documents provides a fairly realistic depiction of the situation. The materials presented here are essential sources for studying the period of Soviet occupation and the enforced Sovietization of Georgia.